



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000050738128219

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 40

02 / ოქტომბერი / 2019 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დუისში მდებარე 1815.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი აღნაგობის უფლებით ა(ა)იპ „როდი სკოტის სახელობის ფონდი საქართველო“-სთვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე მუხლების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 54-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ


გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დუისში მდებარე 1815.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი აღნაგობის უფლებით ა(ა)იპ „როდი სკოტის სახელობის ფონდი საქართველო“-სთვის გადაცემა. ს/კ 50.05.34.028
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გასაცემი სოფ. დუისში მდებარე 1815.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის:
 - ა) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური -950 ,0 (ცხრაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
 - ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 20 წელი.
 - გ) სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობები შემდეგი სახით:
 - აღნაგობის უფლების ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ ნაგებობაზე საკუთრება გადადის მიწის მესაკუთრეზე კომპენსაციის გარეშე.
 - ობიექტის მშენებლობა დასრულდეს მიწის სარგებლობაში მიღებიდან ორი წლის ვადაში.
 - წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით მშენებლობაზე განხორციელდეს 450000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია.

ობიექტი გამოყენებულ იქნას პირდაპირი დანიშნულებით როგორც განათლების ცენტრი, სადაც განხორციელდება ისეთი პროექტები რომლებიც ხელს შეუწყობს ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლებას.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.№101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

თამარ ყვინიშვილი